მარიანა ქევხიშვილი •

მიხეილ სააკაშვილის ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

აბსტრაქტი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 2022 წლიდან მიმართავს ამერიკელ ლობისტებს დასახმარებლად. ის საქართველოში ჩამოსვლისას 2021 წლის 1 ოქტომბერს დააკავეს და დღემდე პატიმრობაში რჩება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობისტების დაქირავება, რათა საერთაშორისო პოლიტიკურ საზოგადოებას გაეგო მისი, როგორც პოლიტპატიმრის ნიშნით დაკავების შესახებ და მომხდარიყო მისი გათავისუფლება ჰუმანიტარული ნიშნით.

ნაშრომში გაანალიზებულია მიხეილ სააკაშვილის ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2022-2023 წლებში. თვისობრივი კვლევის მეთოდების საფუძველზე, კერძოდ კი მეორეული წყაროების ანალიზის საშუალებით შესწავლილია სამეცნიერო სტატიები და გაანალიზებულია Fara-ზე ატვირთული დოკუმენტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილსა და ლობისტურ კომპანიებს შორის იქნა გაფორმებული.

მიხეილ სააკაშვილისთვის ამერიკაში სულ სამი ლობისტური კომპანია მუშაობდა. დღეისთვის სამივე კომპანიასთან კონტრაქტი შეწყვეტილია. ლობისტების არაერთი მცდელობის მიუხედავად, რომ დასავლელი პოლიტიკოსების, ამერიკელი მაღალჩინოსნების, მედიისა თუ სხვა არასამთავრობო პირების მიერ ზეწოლა მომხდარიყო საქართველოს ხელისუფლებაზე და სასამართლო პროცესებ-

---

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი

ზე საქართველოში, მიხეილ სააკაშვილი დღემდე პატიმრობაში რჩება.

საკვანძო სიტყვები: მიხეილ სააკაშვილი, ლობი, აშშ, საქართველო

შესავალი

ლობიზმი ესაა საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეებზე ზემოქმედების პრაქტიკა, რომლის მიზანიცაა გარკვეული ჯგუფებისა თუ ინდივიდის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზნით, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში, არსებობს სპეციალური სააგენტოები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დიდი კომპანიების, ქვეყნებისა და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ. (Lee, 2020). უცხოელი სუბიექტები კი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინტერესთა ჯგუფია, რომელიც ლობირებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე აშშ-ს მთავრობაში. (You, 2016).

1938 წლის უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი (FARA) იძლევა იურიდიულ არხს უცხოური მთავრობებისა და ბიზნესებისთვის აშშ-ს მთავრობის ლობირებისა და აშშ-ს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით. მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ უცხოელმა სუბიქტმა უნდა დაიქირაოს „აგენტი“ აშშ-ში. ამ აგენტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებს უცხოელი აგენტის სახელით ან ჩაერთონ უცხოელი დამქირავებლისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. FARA-ს არხის მეშვეობით, უცხოური მთავრობების და უცხოური ბიზნესების ლობირება აშშ-ში დიდ და წარმატებულ ინდუსტრიად იქცა (Gawande, 2006).

Fara-ს მონაცემების მიხედვით, უცხოური ლობირება შეიძლება დავყოთ სამთავრობო და არასამთავრობო საქმიანობად, უცხოურ საჯარო ლობირებად და კერძო/პირად ლობირებად. (Lee, 2020).

კერძო ინტერესების ლობირება არის დემოკრატიული უფლებების ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმადაც პოლიტიკით დაზარალებულ სუბიექტებს, აქვთ შესაძლებლობა რომ მათ მოუსმინონ. მონაწილეობა და ჩართულობა ასევე აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს (Polk, 2011).

ნაშრომში გაანალიზებულია მიხეილ სააკაშვილის ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2022-2023 წლებში. თვისობრივი კვლევის მეთოდების საფუძველზე, კერძოდ კი მეორეული წყაროების ანალიზის საშუალებით შესწავლილია სამეცნიერო სტატიები და გაანალიზებულია Fara-ზე ატვირთული დოკუმენტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილსა და ლობისტურ კომპანიებს შორის იქნა გაფორმებული.

მიხეილ სააკაშვილის ამერიკელი ლობისტები

საქართველოს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის გუნდი დამარცხდა. საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლეტჩერის სახელობის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში ლექციებს კითხულობდა.

2014 წლის 27 მარტს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილი მოწმის სახით დაკითხვაზე დაიბარა, სადაც ის არ გამოცხადდა. საქმე მისი პრეზიდენტობის დროს მომხდარ რამდენიმე გახმაურებულ ფაქტს ეხებოდა. განმეორებით პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი 28 ივლისს დაკითხვაზე კვლავ დაიბარა, თუმცა ის არც ამჯერად გამოცხადდა. ამავე დღეს, მთავარმა პროკურატურამ ყოფილი პრეზიდენტი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ამის შემდეგ, ექსპრეზიდენტმა პოლიტიკური კარიერა გააგრძელა უკრაინაში, სადაც უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიერ 2015 წლის 13 თებერვლიდან უკრაინის რეფორმების საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელად დაინიშნა. 2015-2016 წლებში კი იყო ოდესის ოლქის გუბერნატორი. ამის შემდეგ

იგი უკრაინის ხელისუფლების ოპოზიციაში გადავიდა და შექმნა პარტია „ახალ ძალთა მოძრაობა“. უკრაინაში ხელისუფლების ცვლილებისა და უკრაინის პრეზიდენტად ვოლოდიმირ ზელენსკის არჩევის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი 2020 წლის 7 მაისიდან არის უკრაინის რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელი.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სამშობლოში ჩამოსვლისას 2021 წლის 1 ოქტომბერს დააკავეს და დღემდე პატიმრობაში რჩება. სწორედ ამ პერიოდიდან (2022 წლიდან) მან ოფიციალურად მიმართა ამერიკელ ლობისტებს, რათა საერთაშორისო პოლიტიკურ საზოგადოებას გაეგო მისი, როგორც პოლიტპატიმრის ნიშნით დაკავების შესახებ და მომხდარიყო მისი გათავისუფლება ჰუმანიტარული ნიშნით.

მიხეილ სააკაშვილისთვის ამერიკაში სულ სამი ლობისტური კომპანია მუშაობდა. დღეისთვის სამივე კომპანიასთან კონტრაქტი შეწყვეტილია.

REGISTRANT NAME	REGISTRATION DATE	FOREIGN PRINCIPAL NAME	FOREIGN PRINCIPAL COUNTRY/LOCATION	FOREIGN PRINCIPAL STATUS
Akerman LLP	02/03/2023	Mikheil Saakashvili	GEORGIA	Terminated
GP International LLC/ DBA GlobalPoint International	11/22/2022	Mr. Mikheil Saakashvili	GEORGIA	Terminated
GP International LLC/ DBA GlobalPoint International	11/22/2022	Mr. Mikheil Saakashvili	GEORGIA	Terminated
Pushaw, Christina	06/06/2022	Mikheil Saakashvili	GEORGIA	Terminated
Pushaw, Christina	06/06/2022	Mikheil Saakashvili	GEORGIA	Terminated

https://efile.fara.gov/ords/fara/f?p=1235:20:::::RP::&cs=3kct4yWYLurh4q7vMsBU0A4VQD3pszuD9GLbKiktByMan3S-FqB1KuwquS1WW1tOtaCFNNJacayZ9gNW8a2e_YQ

პირველად მიხეილ სააკაშვილის ლობისტად დარეგისტრირდა ქრისტინა პუშოუ (Christina Pushaw). 2022 წელს Fara-ზე ატვირთულ დოკუმენტში მის უცხოელ კლიენტად მითითებულია მიხეილ სააკაშვილი, სადაც მისამართად უკრაინაა მითითებული. კონტრაქტში წერია, რომ სააკაშვილი საქართველოში პოლიტპატიმარია. პუშოუ წერს, რომ მისი დავალება იყო სააკაშვილის საერთაშორისო პროფილის ჩამოყალიბება, რათა ის კვლავ დაბრუნებულიყო ქართულ პოლიტიკაში, უკრაინაში მოღვაწეობის შემდეგ.

2018-2020 წლებში ქრისტინა პუშოუ მიხეილ სააკაშვილს რჩევებს აძლევდა საერთაშორისო კომუნიკაციებისა და მედიის საკითხებში, მათ შორის, სატელევიზიო გამოსვლების, პოსტებისა და პოლიტიკის შემქმნელებთან ურთიერთობის საკითხებში. მისი მუშაობა სააკაშვილისთვის მოიცავდა ასევე ქართული პოლიტიკური გარემოს მონიტორინგს და მისი საერთაშორისო პროფილის შექმნას. 2018 წლის 28 ოქტომბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრამდე პუშოუს გადაუხადეს ჯამში 25 000 აშშ დოლარი. როგორც ის წერს, მისი სამუშაო შეთანხმება იყო დაუწერელი და არაფორმალური, ის ნებაყოფლობით, მოხალისეობრივად ეხმარებოდა მიხეილ სააკაშვილს. ცხოვრობდა თბილისში, დაახლოებით 6 კვირა 2018 წლის ოქტომბერ-დეკემბრიდან, რათა სააკაშვილთან კონსულტაციები გაეწია გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კამპანიის სტატუსისა და პროგრესის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ის უსასყიდლოდ ცხოვრობდა თბილისში, სააკაშვილის თანამოაზრეების კუთვნილ ბინაში. 2019 წლის აგვისტოდან 2020 წლის ივლისამდე ქრისტინა პუშოუ საქართველოში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ორიენტირებული იყო ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკაზე, შეერთებულ შტატებში ყოფნის გარეშე.

პუშოუს მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად 2018-2020 წლებში მან აშშ-ში სხვადასხვა ოფიციალურ სამთავრობო პირთან გაგზავნა 130 ელექტრონული წერილი, რომლებიც შეეხებოდა მიხეილ სააკაშვილისთვის შეხვედრების მოწყობას, საქართველოში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ამ პერიოდებში ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს ოპოზიციის მისამართით. გარდა სამთავრობო წარმომადგენლებისა, 57 გაგზავნილი ელექტრონული მეილის საშუალებით გაავრცელეს ინფორმაცია სხვა არასამთავრობო პირებთან იმავე საკითხზე, პუშოუმ მოაწყო ერთი შეხვედრა და განახორციელა სამი ზარი სხვადასხვა მაღალჩინოსანთან.

კიდევ ერთი ლობისტური კომპანიაა GP International LLC / DBA GlobalPoint International, მასთან კონტრაქტს მიხეილ სააკაშვილი უკვე „ვივამედის“ კლინიკიდან აფორმებს, სადაც ის სამკურნალოდაა მოთავსებული. ლობისტები შეასრულებენ დავალებებს მიხეილ სააკაშვილის სახელით დედამისის გიული ალასანიას მითითებით.

ამ დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოსტს 2004-2013 წლებში იკავებდა და ამჟამად ის საქართველოში პოლიტპატიმარია. მათივე ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობა იყო გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი პარტია, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა.

როგორც ლობისტები წერენ Fara-ზე წარდგენილ დოკუმენტში, 2013 წლის ბოლოს სააკაშვილის მიერ საქართველოს დატოვებიდან მალევე, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობით მთავრობამ სააკაშვილს არაერთი უსაფუძვლო, პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენა, რის საფუძველზეც ის დაუსწრებლად გაასამართლეს. თითქმის რვა წლის განმავლობაში ემიგრაციაში ყოფნის მიუხედავად, სააკაშვილი კვლავაც გავლე-

ნიან ფიგურად დარჩა ქართულ პოლიტიკაში. როდესაც ის საქართველოში 2021 წლის ოქტომბერში დაბრუნდა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების მხარდასაჭერად, სააკაშვილი მაშინვე დააკავეს და დააპატიმრეს. ის ექვემდებარებოდა სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რომელიც რამდენიმე დამოუკიდებელი დამკვირვებლის თვალში წამებას უტოლდება და ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო კანონსა და ნორმას არღვევს. პატიმრობაში მყოფი სააკაშვილის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა საპატიმროში და მას სასწრაფოდ ესაჭიროება სამედიცინო მკურნალობა თანამედროვე დაწესებულებაში შეერთებულ შტატებში ან დასავლეთ ევროპაში. (FARA, 2022).

ამ ლობისტურ ფირმას სტრატეგიული კონსულტაციები/სტრატეგიული კომუნიკაციების საშუალებით, უნდა უზრუნველეყო ყოფილი პრეზიდენტის გათავისუფლება ჰუმანიტარული და/ან სამართლებრივი ნიშნით. სამუშაო მოიცავდა აშშ-სა და საერთაშორისო მედიის ჩართვას და მონიტორინგს, სასაუბრო თემების შემუშავებას, მედია ინტერვიუების მოწყობას და ზოგჯერ მედია განცხადებებისა და დამხმარე ინფორმაციის გავრცელებას. ლობისტები ამისათვის მიმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ანალიტიკურ ცენტრებსა და სხვადასხვა სფეროს გავლენიან ლიდერებს.

2022 წლის 18 ნოემბრიდან 2023 წლის 17 იანვრამდე კომპანიას თვეში უხდიდნენ 15 ათას აშშ დოლარს.

Task Area	Timing	Tactics & Accomplishments	Monthly Fee (USD)
• Strategic Counsel • Media Relations • Outreach to Key Stakeholders and influencers	18 November 22 - 17 January 23	• Strategic Planning and Counsel • Key Message Development and Talking Points • Media Relations • Media Tracking • Stakeholder Outreach	$15,000 USD

https://efile.fara.gov/docs/7193-Exhibit-AB-20221122-1.pdf

ამ კომპანიასთან კონტრაქტი განაახლეს გიული ალასანიამ და მიხეილ სააკაშვილმა 2023 წლის 17 იანვარს ამავე წლის 16 თებერვლამდე. ერთი თვის მანძილზე მათ გადაუხადეს 20 ათასი აშშ დოლარი. ლობისტებისთვის მიცემული დავალებები იგივე დარჩა, რაც წინა კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. ფირმა წერს, რომ აპირებს პოლიტიკურ საქმიანობას კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მათი თქმით, ეს ინტერესები იქნება ხელშეწყობილი რამდენიმე საქმიანობით, მათ შორის: სტრატეგიული კომუნიკაციების/მედიასთან ურთიერთობით, აშშ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მხარს უჭერენ კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას საქართველოში, კავშირების დამყარებით; შეხვედრების მოწყობით დაინტერესებულ მხარეებთან ან გავლენიან პირებთან სააკაშვილის სამართლებრივი საქმის განსახილველად. ამ ლობისტურ ფირმასთან ამჟამად ურთიერთობა შეწყვეტილია.

Akerman LLP კიდევ ერთი დაქირავებული ლობისტური კომპანიაა მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელთანაც ასევე „ვივამედის“ კლინიკიდან გაფორმდა კონტრაქტი. თუმცა კომპანია უშუალოდ ურთიერთობს გიული ალასანიასთან და მისი მითითებით ასრულებს დავალებებს.

დოკუმენტის მიხედვით, აკერმანი 2022 წლის ივლისიდან დაკავებულია იურიდიული კონსულტაციის გაწევით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ. თუმცა, როგორც მითითებულია დამატებულ სამუშაო ხელშეკრულებაში, აკერმანმა შეიძლება სხვა სფეროებშიც გაუწიოს დახმარება კლიენტს.

2022 წლის 16 აგვისტოდან 2023 წლის 30 იანვრამდე კომპანიას გიული ალასანიამ გადაუხადა 917,177.44 აშშ დოლარი შემდეგი დავალებებისთვის:

სააკაშვილის ციხიდან დაუყონებლივ გათავისუფლების მოთხოვნით ქართულ სასამართლოში მიმართვასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურების გაწევა; საქართველოში სამართლებრივი სტრატეგიის დაგეგმვა, კოორდინაცია და განხორციელება და კლიენტის სახელით ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე, მათ შორის, სამედიცინო ექსპერტების შენარჩუნება; საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმასთან თანამშრომლობით კლიენტის მძიმე მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ ცნობიერების ამაღლება; უცხოელი სამთავრობო წარმომადგენლების, გავლენიანი ლიდერების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აშშ-ს მთავრობის ოფიციალური პირების ინფორმირება, რათა მიიღონ დიპლომატიური მხარდაჭერა კლიენტისთვის და უზრუნველყონ მისი გათავისუფლება ჰუმანიტარული ნიშნით; კლიენტის ქართული ციხიდან გათავისუფლების ადვოკატირება, საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა გარკვეული სამთავრობო ურთიერთობების აქტივობებში და კომუნიკაციაში მედია საშუალებებთან აშშ-ში და საერთაშორისო დონეზე; მონაწილეობა შეხვედრებში აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებთან და მათ თანამშრომლებთან დიპლომატიური დახმარების მოძიებაში, რათა გადაარჩინონ სააკაშვილის სიცოცხლე ციხიდან მისი გათავისუფლებით. წერილობითი მასალების გავრცელება, სადაც განიხილება სააკაშვილის პატიმრობა და შეხვედრების მოწყობა აშშ-ს მედიის წარმომადგენლებთან სააკაშვილის საქმის განსახილველად და მისი მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის.

ამ ლობისტური კომპანიის ადვოკატი მასიმო დანჯელო 2022 წლის 3 ოქტომბერს შეხვდა თბილისში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს, რათა მათგან მიეღო დიპლომატიური დახმარება სააკაშვილის ჰუმანიტარული ნიშნით გასათავისუფლებლად. ამავე

წლის დეკემბერში დანჯელომ სენატორ ჯინ შაჰინის ოფისის წევრებს დაუგზავნა ელექტრონული წერილები და განახორციელა სატელეფონო ზარები, რათა დიპლომატიური საშუალებებით უზრუნველეყო სააკაშვილის ციხიდან ჰუმანიტარული ნიშნით გათავისუფლება და აშშ-ის საავადმყოფოში გადაყვანა, რათა მისთვის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა გაეწიათ.

დანჯელო ამ ხნის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებდა იმეილების დაგზავნას, სატელეფონო ზარების განხორციელებას, აშშ-ს მედიასთან ურთიერთობას, პრეს-რელიზებისა და საინფორმაციო მასალების მომზადებასა და დაგზავნას, რათა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება მომხდარიყო ჰუმანიტარული ნიშნით.

მან მიმართა მეილებით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში მდივნის თანაშემწის მოადგილეს; დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს რათა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ჰქონოდა ინფორმაცია საქართველოს სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მიხეილ სააკაშვილის ჰუმანიტარული ნიშნით ციხიდან გათავისუფლებას. ამასთანავე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა იცოდეს სააკაშვილის ადამიანის უფლებათა და სამართალწარმოების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საკითხები. ამ კომპანიასთანაც დღეის მდგომარეობით კონტრაქტი გაწყვეტილია.

დასკვნა

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკელი ლობისტების მეშვეობით საერთაშორისო იმიჯის ფორმირება ჯერ კიდევ 2018 წლიდან დაიწყო. როგორც მისი ლობისტი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტისადმი წარდგენილ ანგარიშებში წერს, სააკაშვილი ემზადებოდა ქართულ პოლიტიკაში დასაბრუნებლად და საამისოდ ასევე იკვლევდნენ ქართულ პოლიტიკურ გარემოს. უკვე ოფიციალურად 2022 წლიდან მიხეილ სააკაშვილისთვის ორი ლობისტური კომპანია მუშაობდა, მათი მიზანი სააკაშვილის ჰუმანიტარული ნიშნით გათავისუფლება იყო. 2023 წელს მიხეილ სააკაშვილს ყველა ლობისტურ კომპანიასთან შეწყვეტილი აქვს კონტრაქტები. მიუხედავად ლობისტების არაერთი მცდელობისა, ის კვლავ პატიმრობაში რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Gawande, K. Krishna, P. Robbins, M. (2006). FOREIGN LOBBIES AND US TRADE POLICY. *The Review of Economics and Statistics* Vol. 88, No. 3 (Aug., 2006), pp. 563-571.

Lee, D, J. (2020). Who Lobbies and When: Analyzing Patterns of Foreign Lobbying. *Doctoral Dissertation, University of Pittsburgh.* http://d-scholarship.pitt.edu/3957 მოძიებულია 12.04.2023

Polk, A. (2011). LOBBYING: PRIVATE INTERESTS AND PUBLIC CONDUCT. *CESifo DICE Report.* https://www.ifo.de/DocDL/dicereport111-forum1.pdf მოძიებულია: 12.05.2023

You, H. (2016). Foreign Lobbying in the US Congress: Evidence from Free Trade Agreements. Semantic Scholar. https://hyeyoungyou.files.wordpress.com/2018/09/foreignlobbying.pdf მოძიებულია: 20.03.2023

FARA. (2023). Exhibit AB. *U.S. Department of Justice.* https://efile.fara.gov/docs/7227-Exhibit-AB-20230203-1.pdf მოძიებულია: 23.05.2023

FARA. (2023). Exhibit AB. *U.S. Department of Justice*. https://efile.fara.gov/docs/7193-Exhibit-AB-20230125-2.pdf მოძიებულია: 23.05.2023

FARA. (2022). Exhibit AB. *U.S. Department of Justice*. https://efile.fara.gov/docs/7122-Exhibit-AB-20220707-2.pdf მოძიებულია: 23.05.2023

FARA. (2022). Exhibit AB. *U.S. Department of Justice*. https://efile.fara.gov/docs/7122-Exhibit-AB-20220606-1.pdf მოძიებულია: 23.05.2023

FARA. (2022). Exhibit AB. *U.S. Department of Justice*. https://efile.fara.gov/docs/7193-Exhibit-AB-20221122-1.pdf მოძიებულია: 23.05.2023

Mariana Kevkhishvili

Mikheil Saakashvili's Lobbying Activities in USA

Abstract

The former president of Georgia, Mikheil Saakashvili, will turn to American lobbyists for help from 2022. He was arrested on October 1, 2021 upon his arrival in Georgia and remains in custody to this day. It was during this period that he began to hire lobbyists in the United States of America to make the international political community aware of his detention as a political prisoner and for his release on humanitarian grounds.

The paper analyzes the lobbying activities of Mikheil Saakashvili in the USA in 2022-2023. On the basis of qualitative research methods, in particular, through the analysis of secondary sources, scientific articles have been studied and the documents uploaded on Fara, signed between Mikheil Saakashvili and lobbying companies, have been analyzed.

A total of three lobbying companies worked for Mikheil Saakashvili in America. As of today, the contract with all three companies has been terminated. Despite numerous attempts by lobbyists to put pressure on the Georgian authorities and court proceedings in Georgia by Western politicians, American high-ranking officials, media and other non-governmental persons, Mikheil Saakashvili remains in prison.

Key Words: Mikheil Saakashvili, Lobby, USA, Georgia